სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86593714321122

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220448555

რეგისტრაციის თარიღი

21.04.2022 წ

ნოტარიუსი: ქეთევან მამუკაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი #25
ტელეფონი: 2771300; 2779499

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაერთ აპრილს მე, ნოტარიუსს ქეთევან მამუკაშვილს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №25, მომმართა **კონსტანტინე მალაზონიამ,** მან განაცხადა, რომ არის **შპს მეგობრობა-ლენდი-ს** დირექტორი. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი მოქალაქის პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **კონსტანტინე მალაზონიამ (დაბ. 12.01.1970წ. პირადი №01020002994 მისამართი: თბილისი წყნეთის ქ. N 2ა ბ. 2ა)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი არის **შპს მეგობრობა-ლენდი-ს** საიდენტიფიკაციო **№202886092** დირექტორი, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20087597, 27/10/2020 12:25:54. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

მან წაიკითხა სანოტარო აქტი, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაერთ აპრილს მე **შპს მეგობრობა-ლენდი-ს** საიდენტიფიკაციო **№202886092** დირექტორი **კონსტანტინე მალაზონია** ამ მინდობილობით სრულ უფლებას ვაძლევ შპს არსენალ-ს ს/ნ 406259668, რომ შეათანხმოს ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში შპს **მეგობრობა-ლენდი-ს** ს/ნ **№202886092** საკუთრებაში მქონე მიწის ნაკვეთზე **(მიწის საკადასტრო კოდი: 01.16.07.002.041)** არსებული ყველა შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტი. მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები, აწარმოოს შესაბამისი საქმე, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის პროცედურა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული მოქმედებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია **6 (ექვსი) თვის ვადით.**

მინდობილობას ვადასტურებ მე, ნოტარიუსი ქ.მამუკაშვილი სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ 1 ლარი და 80 თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

ნოტარიუსი